საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3638-18 "12" 11 2018 წ

შპს „მედიაკომს" (ს/კ445470393)

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 8 ნოემბერს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა თქვენი გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 2018 წლის 22 ნოემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ზოჭორმის ქ. N50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „მედიაკომისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „ლ" ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო .

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „მედიაკომს" უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. 2018 წლის 3 ოქტომბრის კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის N10/5081-18 მოხსენებითი ბარათი - 3 ფურცელი.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ ხარებავა

ბ-ნ პ. ბერიას

გთხოვთ, განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

კ. ბექაური
03.10.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 02 ოქტომბრის მდგომარეობით, კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები (მცდელობის მიუხედავად) სამი და მეტი თვის განმავლობაში არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმებს და კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად გააჩნიათ რეგულირების საფასურის დავალიანება, იხ. ცხრილი:
ცხრილი

N	კომპანია	ს/კ	რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოუდგენლობა	რეგულირების საფასურის დავალიანება წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმების შესაბამისად (ლარი)
1	თელნეტი	431165856	2018 წლის ივლისი და აგვისტო	22,66
2	Net House Telecom	404431520	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
3	ჯინკოლაინი	437062456	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
4	ავთანდილ ეგუტიძე	60001096927	2018 წლის ივლისი და აგვისტო	13,73
5	მედიაკომი - (445470393)	445470393	2018 წლის ივლისი და აგვისტო	1,536,22
6	პოვერნეტ	400157557	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
7	დისქავერი ჯორჯია	405153667	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
8	სატელიტ პლიუსი	405178203	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
9	კავშირი თუშეთის განვითარების ფონდი	424613742	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
10	ტენეტ	425363581	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
11	4კ ტვ	404559820	2018 წლის ივლისი და აგვისტო	

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი 12 ფურცელი.

პატივისცემით,

ნ. დევ
ნათია დევდარიანი
03/10/2018

№ 10/5081-18
03 10 18
1+12

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/3216-18

„24" 09 2018 წ.

შპს „მედიაკომს"

ს/კ - 445470393

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაცნობებთ, რომ 2018 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით:

> წარმოსადგენი გაქვთ 2018 წლის ივლისის და აგვისტოს თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების ელექტრონული ფორმები (1,9 ფორმა).

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გევალებათ ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინოთ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური.

გთხოვთ, 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით წარმოადგინოთ რეგულირების საფასურის გაანგარიშების ელექტრონული ფორმები (1,9 ფორმა) და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განიხილოს ავტორიზებული/ლიცენზირებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის დაზუსტებისა და კონსულტაციის მიზნით დაუკავშირდით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტელ: (032) 239 40 29.

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 07/3267-18

"27" 09 2018 წ.

შპს "მედიაკომს"

ს/კ - 445470393

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაცნობებთ, რომ 2018 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით;

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშების ელექტრონული ფორმების (1,9) შესაბამისად, გერიცხებათ რეგულირების საფასურის დავალიანება - 1,536.22 ლარი.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გევალებათ ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინოთ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური.

გთხოვთ, 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განიხილოს ავტორიზებული/ლიცენზირებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის დაზუსტებისა და კონსულტაციის მიზნით დაუკავშირდით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტელ: (032) 239 40 29.

კომისიის თავმჯდომარე — კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge